სს "თიბისი ბანკი", მთაწმინდის ფილიალი
JSC "TBC Bank" Mtatsminda Branch

240/112-02
30.05.2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

წინამდებარე წერილით გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) თანახმაა განხორციელდეს ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთ(ებ)ზე (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 238; საკადასტრო კოდი N 01.72.14.014.052) განსათავსებელი შენობა-ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება / არსებული და შეთანხმებული პროექტ(ებ)ის კორექტირება / შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მიღება მხოლოდ შემდეგი პირობების / დათქმების გათვალისწინებით:

- გახორციელდეს საპროექტო ცვლილება არსებულ არქიტექტურულ პროექტში (მშენებლობის ნებართვა, ბრძანება N6732140, გაცემის თარიღი: 2023 წლის 27 ოქტომბერი სადაც შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტებია: ბრძანების ნომერი 6732140, ბრძანების თარიღი: 27.10.2023)

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ბანკის მიერ წინამდებარე წერილით გაცხადებული თანხმობა მოქმედია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ქმედებების განხორციელების შედეგად:

- არ მოხდება იპოთეკის საგნის იმგვარი გარდაქმნა / ცვლილება, რაც შეამცირებს მის ღირებულებას და/ან შელახავს ბანკის, როგორც იპოთეკარის, ინტერესებს;
- არ მოხდება იპოთეკის საგნის შემცირება;
- იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნა/უფლება);
- ბანკის იპოთეკის უფლება სრულად გავრცელდება იპოთეკის საგნის გარდაქმნის / ცვლილების შედეგად მიღებულ უძრავ ნივთ(ებ)ზე.

პატივისცემით,

სს „თიბისი ბანკი“-ს, წარმომადგენელი

გიგა ღლონტიშვილი 01011066722

სს "თიბისი ბანკი". მთაწმინდის ფილიალი
TBC BANK
კანცელარია
CHANCELLERY
007033
JSC "TBC BANK". MTATSMINDA BRANCH

თავისუფლების მოედანი 7/2
0105 თბილისი, საქართველო
Freedom Square 7/2
0105 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
84271057454224

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240014991

რეგისტრაციის თარიღი

09.01.2024 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ცხრა იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. #7, II სართული, მომმართა გიორგი გოგოძემ, როგორც სს „თიბისი ბანკის“ (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის“ შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23172178, 08/12/2023 16:17:30, ს/ნ 204854595) დირექტორის მოადგილის თორნიკე გოგიჩაიშვილის (პ/ნ # **01010005109**) წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა მასზე მინდობილი უფლებამოსილებების (თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, სანოტარო მოქმედების რეგ. #200210074, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური #48847718021720) სს,,თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ადმინისტრატორის გიგა ღლიღვაშვილისათვის (პ/ნ#01011066722) გადაწდომა, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი გოგოძემ (დაბ. 08.08.1978წელს თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.I კვ.,კორპ.18,ბ.34, პ/ნ #01001003506, ბარათის #15IE68985, გაც. იუსტიციის სამინიტროს მიერ 04.10.2016) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. აგრეთვე დავადგინე და ვადასტურებ, რომ ზემოხსენებული მინდობილობის (დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, რეგ. #200210074, საფუძველზე გიორგი გოგოძეს აქვს წინამდებარე მინდობილობის გაცემის (მასზე მინიჭებული უფლებების გადანდობის) უფლებამოსილება. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ცხრა იანვარს გიორგი გოგოძემ (დაბ. 08.08.1978წელს თბილისში, პ/ნ # 01001003506) სს,,თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ადმინისტრატორს გიგა ღლიღვაშვილს (პ/ნ#01011066722), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით სრულად გადაანდო შემდეგი უფლებამოსილებები:

1."რწმუნებული" **გიგა ღლიღვაშვილი** უფლებამოსილია **სს „თიბისი ბანკის"** სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული **ფილიალის** საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს, ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, **ფილიალის** ფარგლებში გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, იპოთეკის, გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას, თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს, რაც აუცილებელი იქნება **ფილიალის** შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

2.ამ მინდობილობით **გიგა ღლიღვაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას **სს,,თიბისი ბანკის"** ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;

3.წინამდებარე მინდობილობით ვიწონებ **სს,,თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ადმინისტრატორს გიგა ღლიღვაშვილისათვის (პ/ნ#01011066722)** მიერ **ორი ათას ოცდაოთხი წლის ცხრა იანვრის** ჩათვლით ხელმოწერილ დოკუმენტაციას/ხელშეკრულებებს და წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში **ფილიალის** თანამშრომლების სახელზე გაცემულ მინდობილობებს;

4. **ეს მინდობილობა ძალაშია 2024 (ორი ათას ოცდაოთხი) წლის 9 (ცხრა) იანვრიდან 2024 (ორი ათას ოცდაოთხი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.**

5. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

6."რწმუნებულს" უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) **ფილიალის** თანამშრომლებს (რომლებსაც აღარ ექნებათ შემდგომი გადანდობის უფლება).

საზღაური: 30.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (39-ე მუხლის თანახმად) და დღგ 5.40 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-მუხლის თანახმად), სულ 40.40 ლარი.

გიორგი გოგოძე

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა